PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაია თოიძე
წევრები:
ნიკა ჯაფიაშვილი

(თბილისი, 2022 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „მოდუსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ კოლეჯ ,,მოდუსში“ ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის №1437977 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემდეგი შემადგენლობით: თოიძე მაია - ჯგუფის თავმჯდომარე; ჯაფიაშვილი ნიკა - ჯგუფის წევრი, განხორციელდა ,,მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. კოლეჯი პროგრამას იმატებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მისამართზე (იაღლუჯის დასახლება).

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების 2021 წლის 15 ნოემბრის MES 7 21 0001223137 კორესპონდენციით წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დამატებით გამოითხოვა შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პროგრამის ყველა განმახორციელებლის პირადი საქმე, კერძოდ, კვალიფიკაციის ან/და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები რითაც დასტურდება, რომ აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია (პროგრამაში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად). საჭიროების შემთხვევაში სერტიფიკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამის დანართი №2 - სასწავლო გარემოს აღჭურვილობა (დოკუმენტი ტექნიკურად არასწორად იყო pdf ფორმატში გადაყვანილი და არ იკითხებოდა).

გამოთხოვილი დოკუმენტაცია კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის 13 იანვრის MES 7 22 0000017947 კორესპონდენციით.

დისტანციური გასაუბრება შედგა 2022 წლის 14 იანვარს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ვიზიტის განრიგის შესაბამისად (იხ. დანართი №1). ინტერვიუს პროცესში ჩართული იყვნენ: კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, მარნეულის მისამართზე სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი, სასწავლო და სასწავლო - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,მეხილეობა“ ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლები და პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ([redacted] წარმომადგენელი. დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით განხორციელდა კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციის სასწავლო გარემოს დათვალიერება. ტექნიკური შეფერხების გამო, გასაუბრება ვერ შედგა მეორე პარტნიორთან (ფიზიკური პირი - ა. ვ)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადით პროგრამა შეფასებულია როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯს სრულად არ აქვს შესყიდული მატერიალური რესურსი C გარემოსათვის ამასთან, ვიზიტის დღეს კოლეჯმა წარმოადგინა ,,2021 წლის გაუმჯობესების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №345 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ 2022 წლის 13 იანვრის №9 ბრძანება, რომლითაც რესურსის შესყიდვის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 აპრილი. ასევე, ვიზიტის დღეს კოლეჯმა წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პარტნიორ ორგანიზაციებთან 2022 წლის 14 იანვარს გაფორმებული შეთანხმებები, რომლებითაც დაზუსტდა თითოეული პარტნიორის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტის ოდენობა.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტთა მიერ პროგრამა ,,მეხილეობა“ შეფასებულია, ***როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.***

წარმოების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია ერთი შესაბამისობის და ექვსი განმავითარებელი რეკომენდაცია. ყველა რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლებისათვის შეთავაზებული იქნა ვიზიტის მიმდინარეობის დროს. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.1.1 (1) ექსპერტების რეკომენდაციაა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში დატანილი იქნას ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/შედეგები ჩატარებული კვლევების შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და კატეგორია ან/და სხვა.) - **გათვალისწინებულია.**

2.1.1 - 3 კონტიგენტის განმსაზღვრელ მეთოდოლოგიის წარმოდგენილი დოკუმენტი ძირითადად ასახელებს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს და ხსნის სასწავლო გარემოს ტიპებს, შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია დოკუმენტი დაიხვეწოს და მოიცავდეს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დაზუსტებულ საკითხებს - **ძირითად გათვალისწინებულია. სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ 2021 წლის 12 ნოემბრის №346 ბრძანებით კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულია ახალი რედაქციით. თუმცა ექსპერტებს აღნიშნულ რეგულაციასთან დაკავშირებით გააჩნიათ დამატებითი განმავითარებელი რეკომენდაცია.**

2.2.1 – 4 ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვერიფიკაციის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია გაიმიჯნოს აღნიშნული პროცესები და გამოირიცხოს მათი ერთი და იგივე პირის მიერ შესრულება - გათვალისწინებულია. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ გამორიცხავს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტს.

2.3.1 1-2 - ექსპერტების შეფასებით, რეგულაციები „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ და „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, თუმცა საჭიროებს მოწესრიგებას სტრუქტურულად და ტექნიკურად, ასევე ზოგიერთი ჩანაწერის შესაბამისობაში მოსაყვანად, შესაბამისად ექსპერტების რეკომენდაციაა კოლეჯმა უზრუნველყოს, დადგენილი მოთხოვნების გადახედვა დასამტკიცებლად წარდგენილი პროგრამის დანართების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგულაციიდან გადაცდომის რისკი (განიხილოს საკოორდინაციო საბჭოსთან პროგრამის დამატების შესახებ შეთანხმების გზები; პროგრამის დამატებაზე/ცვლილების შეტანაზე ინიცირების უფლებამოსილების მქონე პირ/ებ/ის და შემმუშავებელი ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირ/ებ/ის მკაფიოდ განსაზღვრა; გამოირიცხოს შეუსაბამო ტერმინების გამოყენება „სავალდებულო მოდული“, „აკრედიტაცია“ და პროგრამის შემუშავების თაობაზე არსებული მუხლები - ინსტრუქციები, გაიწეროს ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების ადაპტირების ფორმით (ცენტრი აძლევს რეკომენდაციას დაწესებულებას, დაწესებულება რეკომენდაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მექანიზმებს/ინსტრუქციებს და აქვს მისი დადგენილი მიდგომების აღწერის სახე, მაგ. ფორმულირება: „კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს პროფესიული სტანდარტის ფარგლებში შეთავაზებული მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ“ - წარმოადგენს ცენტრის რეკომენდაციას - **გათვალისწინებულია, სასწავლო პროცესის რეგულირების წესი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დამტკიცებულია ახალი რედაქციით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1 – 4 - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმი.

2.4.1 – 6 - ექსპერტების რეკომენდაციაა კოლეჯმა ჩამოაყალიბოს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დასკვნის მომზადების მიდგომა დარგობრივ კონტექსტში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის - განსაკუთრებული ნორმების არსებობის/არარსებობის თაობაზე. **გათვალისწინებულია - მეხილეობის პროგრამაზე პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში უსაფრთხოების წესების შემუშავებაში ჩართული იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

2.4.2 – 3 ექსპერტების რეკომენდაციაა რეგულაციაში აისახოს: ვინ არის მტკიცებულებების მოგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და როგორია მტკიცებულებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები - **გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა (შეტანილია ცვლილებები) და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში (დამტკიცებულია ახალი რედაქციით).**

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1 (1) - დაწესებულებამ განაცხადის დანართად წარმოადგინა სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ 2021 წლის 12 ნოემბრის №345 ბრძანებით დამტკიცებული ,,2021 წლის გაუმჯობესების გეგმა“, რომლის მიხედვით ,,მეხილეობის“ პროგრამის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 30 აპრილს. შესაბამისად, განაცხადით დაწესებულებას პროგრამა 2.2. კომპონენტის ნაწილში შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ . ექსპერტები ეთანხმებიან აღნიშნულ შეფასებას და დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.

განმავითარებელი რეკომენდაციები

რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით *- ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმის დასახელებასა და იდენტიფიცირებული პრობლემის ფორმულირებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზანშეწონილია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ სხვა გეგმების შემუშავებისას. როდესაც სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებაში არ არის სრული შესაბამისობა, ამ შემთხვევაში იწერება ,,შესაბამისობის გეგმა“ და არა ,,გაუმჯობესების გეგმა“, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია წარმოდგენილი ასევე, რეკომენდებულია, იდენტიფიცირებულ პრობლემაში დაფიქსირდეს ავტორიზაციის რომელ სტანდარტთან/კომპონენტთან/კრიტერიუმთან არის შეუსაბამობა. ასევე, როცა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეუსაბამობა შესყიდვებთანაა დაკავშირებული, რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმას ყოველთვის დანართის სახით თან ახლდეს შესასყიდი აღჭურვილობის ნუსხა, რათა შესაბამისობის გეგმა იძლეოდეს სრულ სურათს, რით არის გამოწვეული შეუსაბამობა.

2.1.1 (3) - *რეკომენდებულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ჩანაწერი, რომ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა, დაზუსტდეს, რომ კონტინგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა.*

2.1.1 (8) იმ მოდულებში, რომელთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პარტნიორი კომპანიების ბაზაზე, მოდულებში განხორციელების ადგილად დაემატოს პარტნიორი კომპანია. ასევე, მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში აისახოს ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე.

2.1.1. (8) - არსებული covid პანდემიის გათვალისწინებით, ,,მეხილეობის" პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე სამუშაო ჯგუფმა გაანალიზოს ცალკეული მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობა და აისახოს ინფორმაცია მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1 (5) მოდულებში მითითებული ყველა სასწავლო რესურსი ელექტრონულია, რაც არ არის მოდულში აღნიშნული. კოლეჯმა უზრუნველყოს სასწავლო რესურსის ფორმის (ელექტრონული) თაობაზე მოდულებში ინფორმაციის ასახვა.

2.3.1. (1) - კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით გათვალისწინებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაოდენობრივი კვლევებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კოლეჯმა რაოდენობრივი კვლევები ჩაატაროს ელექტრონულად.

ტექნიკური უზუსტობებთან დაკავშირებით

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს დოკუმენტებში არსებული რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა (დეტალურად იხილეთ დასკვნის აღწერილობითი ნაწილი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№128; 31.05.2021/ ცვლილება- N343, 12. 11. 2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30; მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება; მოდფულური.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის გადაწყვეტილება ,,მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 9 ოქტომბრის №271 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება შეტანილია - №344; 12.11 2021) სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მეორე თავი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, შემუშავების, განხორციელების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების საკითხებს. წესის მიხედვით, პროგრამების დამატებაზე ინიცირებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ახორციელებს კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით, ახალი პროგრამების დანერგვის იდეა შეიძლება სხვადასხვა წყაროდან წამოვიდეს. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, საზოგადოების ან სხვა ინსტიტუტების მოთხოვნის შედეგი. შესაბამისად, ფასდება ახალი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა, მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა. მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგებს და სხვა. დადებითი გადაწყვეტილება კოლეჯის დირექტორის მიერ პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით მიიღება შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,,მეხილეობის“ მოდულური პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დასაბუთება ეფუძნება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ ფერმერთა საჭიროებების კვლევას, რომელიც განხორციელდა ,,ფერმერთა ასოციაციისა“ და „გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობის“ მხარდაჭერით. მოკვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ ფერმერებს ყოველწლიურად აქვთ მეხილეობის სპეციალისტთა დამატებითი საჭიროება სეზონური სამუშაოებისთვის. ადგილობრივი ფერმერების მხრიდან გამოიკვეთა ასევე დაინტერესება მეხილეობის პროგრამის ფარგლებში პარტნიორობაზე. კერძოდ: პროფესიულ სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობაზე, ასევე კონკრეტული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო ნაკვეთით და აღჭურვილობით სარგებლობის უფლების მიცემაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტში პროფესიულ პროგრამებს მხოლოდ კოლეჯი ,,მოდუსი“ ახორციელებს. კოლეჯის მისიაა დაძლიოს გამოწვევები, გახდეს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისხიანი განათლების მიწოდებით. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, მისი ერთ - ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების განხორციელება. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და რეგიონის ეკონომიური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯმა უპასუხოს არსებულ გამოწვევებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასევე, კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებითაც გათვალისწინებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების ინტეგრირებული მიდგომით განხორციელება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ,,მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ,,მეხილეობის“ პროგრამა არის მეოთხე დონის, შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე - საბაზო განათლება.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობების გათვალისწინებით ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და ჩარიცხვის პროცედურა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ბოლო ცვლილება დოკუმენტში შეტანილია 2021 წლის ნოემბერში.

3. სსიპ კოლეჯ ,,მოდუსის“ 2021 წლის 12 ნოემბრის №346 ბრძანებით ახალი რედაქციით დამტკიცდა ,,სსიპ კოლეჯ ,,მოდუსი“-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის ხანგრძლივობას, სასწავლო გარემოს ოდენობას, აღჭურვილობას, მატერიალურ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ტექნიკური ბაზას, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობას. ასევე, ითვალისწინებს სასწავლო გარემოთა გამტარობასა და სწავლების შესაძლებლობას სხვადასხვა ცვლაში.

,,მეხილეობის" ინტეგრირებული პროგრამისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი A, ერთი B, ერთიც A/C გარემო, და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის (93. კვ. მ). კოლეჯს აქვს 240 კვ. მ სათბური, რომლის სასწავლო ბაზად გამოყენება გათვალისწინებულია ,,მებოსტნეობისა" და ,,მეხილეობის" პროგრამებისათვის. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი: შპს ,,მარნეული აგრო" და ფ/პ - ,,ა. ვ", რომელთა ბაზებზეც გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა. პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმებით არ არის განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა. ამასთან, ვიზიტის დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმების საფუძველზე 2022 წლის 14 იანვარს პარტნიორებთან გაფორმებული შეთანხმებები, რომლებითაც დაზუსტდა პარტნიორთა მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა (იხილეთ დანართი №2 და №3). თითოეული პარტნიორი აცხადებს მზაობას პრაქტიკული სწავლებისათვის კომპანიის ბაზაზე მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი. ინტერვიუ შედგა შპს ,,მარნეული აგროს" წარმომადგენელთან, რომელმაც დაადასტურა მზაობა პრაქტიკულ სწავლებაზე მიიღონ მაქსიმუმ 30 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კვოტის დასაბუთება. განაცხადით კოლეჯი კვოტას სრულად ითხოვს ინტეგრირებული მიდგომისათვის. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, კოლეჯი გეგმავს ,,მეხილეობის" ინტეგრირებული პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი აითვისონ ორი მიღების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. ***ამასთან, რეკომენდებულია, რომ კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ჩანაწერი, რომ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა, დაზუსტდეს, რომ კონტინგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა (ის რაც რეალურად ხორციელდება).***

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების დასახელებები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის №2 დანართი - პროგრამის აღჭურვილობის ნაწილი არ არის ადაპტირებული და დანართში წარმოდგენილია იმ ფორმით როგორც ეს არის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში და ცალკეულ შემთხვევაში არ ჩანს პროგრამის ფარგლებში რა ოდენობის აღჭურვილობა იქნება საბოლოოდ წარმოდგენილი შესყიდვის შემდეგ. ***ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დააზუსტეს რომ დანართში ტექნიკურად გამორჩათ რამდენიმე აღჭურვილობის რაოდენობის დაზუსტება და გაასწორებენ. რეალურად კი აღჭურვილობის შესყიდვა გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე და შესაბამისად იქნება შესყიდული.***

5. საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მეორე მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე, მასში ცვლილების შეტანასა და გაუქმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მეხილეობა“ დამტკიცებულია (№128; 31.05.2021/ და მასში ცვლილება შეტანილია (N343, 12. 11. 2021) კოლეჯის დირექტორის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება „მეხილეობა“ შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,სოფლის მეურნეობა“ კონცენტრაციის - „მეხილეობა“ სახელწოდებასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროგრამის ,,მეხილეობა“ შემუშავების საფუძველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - ,,სოფლის მეურნეობა“ (სარეგისტრაციო ნომრით - 09114-პ), ზოგადი მოდულები: ,,ქართული ენა A2” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110001), ,,ქართული ენა B1” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110002) და ,,საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისათვის), მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

,,მეხილეობის“ პროგრამა ინტეგრირებული მიდგომის შემთხვევაში არის 148 კრედიტიანი, ხოლო არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში 90 კრედიტიანი. თუმცა ამ ეტაპზე კოლეჯი სრულად კვოტას ინტეგრირებული მიდგომისათვის ითხოვს. ,,სოფლის მეურნეობის“ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, დაწესებულებას დამატებითი 15 კრედიტის ასათვისებლად შერჩეული აქვს იმავე ჩარჩოს „მემცენარეობისა“ და ,,მევენახეობის“ კონცენტრაციის მოდულები.

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმები ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისათვის (ასევე, ,,ქართული ენა A 2“ და ,,ქართული ენა B1” მოდულებისათვის). როგორც აღინიშნა, მოდულების ბლოკში, გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები, რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვებენ არაქართულ ენაზე შერჩევის გზით. *პროგრამის ძირითად დოკუმენტში ქართული ენის მოდულებთან დაკავშირებით ტექნიკურად დასაკორექტირებელია შემდეგი ჩანაწერი ,,მოდულების, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით“. მოდული ,,ქართული ენა B2“ ნაცვლად უნდა ეწეროს - ,,ქართული ენა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

B1“ და ამოსაღებია ჩანაწერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით, რომელიც გაუქმებულია.

პროგრამას ჰყავს ორი პარტნიორი (შპს ,,მარნეული აგრო: და ფ. პ - ,,ა. ვ“ რომლებთან გაფორმებული მემორანდუმებისა და შეთანხმებების მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მოდულების პრაქტიკული კომპონენტი მიიღწევა პარტნიორების ბაზაზე: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა; თესლბრუნვა; მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა; საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება; მოსავლის აღება-შენახვა; ხეხილის ბაღის გაშენება; ხეხილის სხვლა-ფორმირება; ხეხილის დაცვა; ხეხილოვანი კულტურების ბაღის მოვლა; დახურული გრუნტის მოწყობა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში; ამასთან, აღნიშნულ მოდულებში მოდულის განხორციელების ადგილად მითითებულია მხოლოდ სსიპ- კოლეჯი მოდუსის მარნეულის სასწავლო კორპუსი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით ტექნიკურად გამორჩენილია პარტნიორი კომპანიები და გასწორდება ტექნიკური ხარვეზი.

გარდა ამისა, ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შპს ,,მარნეული აგრო“ - ბაზაზე არ არის კენკროვანი კულტურები და სწორედ კენკროვან კულტურებთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოების სწავლება განხორციელდება მეორე პარტნიორის ბაზაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მოდულის განხორციელების მიდგომებში დაკონკრეტდეს, რომ პარტნიორი ფიზიკური პირის ,,ა. ვ“ - ს სასწავლო ბაზაზე განხორციელდება მხოლოდ კენკროვანი კულტურების პრაქტიკული სწავლება. ასევე, რეკომენდებულია მოდულში არსებობდეს ჩანაწერი, რომელი სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა პარტნიორების ბაზებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტებს აქვს რეკომენდაცია დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით. ,,სოფლის მეურნეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში არ არის ჩანაწერები ცალკეული სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობის თაობაზე, რაც უზრუნველყოფილია ბევრი სხვა საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში. თუმცა კანონი არ ზღუდავს კოლეჯს თავად განსაზღვროს რომელი სწავლის შედეგის მიღწევა არის შესაძლებელი დისტანციურად. ***შესაბამისად, არსებული covid ვითარების გათვალისწინებით ექსპერტებმა კოლეჯს მისცეს განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ,,მეხილეობის“ ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე გაანალიზონ ცალკეული მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობა და ასახონ ინფორმაცია მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში.***

სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილების შეტანის წესი, რომლის მიხედვით პროგრამა მუშავდება სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. წარმოდგენილი ბრძანება ადასტურებს სამუშაო ჯგუფის შექმნას და მის მიერ პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენას. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს დროსაც.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ,,მეხილეობა“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
- ,,სსიპ კოლეჯ ,,მოდუსი“-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ - სსიპ კოლეჯ ,,მოდუსის“ 2021 წლის 12 ნოემბრის №346 ბრძანება;
- ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 5 აპრილის № 82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №344 ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯის ,,მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯ ,,მოდუსის“ 2019-2024 სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის და 2020 წლის სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯ ,,მოდუსის“ 2020 წლის 9 ივნისის №62 ბრძანება;
- სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 01 მარტის №20 ბრძანებით დამტკიცებული 2021 წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და შპს ,,მარნეული აგრო“ - ს შორის გაფორმებული 2021 წლის 20 აპრილის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძეს შორის გაფორმებული 2021 წლის 10 მარტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ - ს დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის მოდუსი დირექტორის 2021 წლის 31 მაისის №128 ბრძანებში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №343 ბრძანება და დანართი - საგანმანათლებლო პროგრამა- „მეხილეობა“ (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმები მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან/ პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეჯამება - *2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.*

მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტის რვა კრიტერიუმის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით ექსპერტების მიერ პირველი კომპონენტი შეფასებულია, როგორც „შესაბამისი“.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,მეხილეობის“ ინტეგრირებული პროგრამისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი A, ერთი B, ერთი A/C გარემო და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის (93. კვ. მ). კოლეჯს აქვს 240 კვ. მ სათბური, რომლის სასწავლო ბაზად გამოყენება გათვალისწინებულია ,,მეხილეობისა“ და ,,მებოსტნეობის“ პროგრამებისათვის. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი: შპს ,,მარნეული აგრო“ და ფ/პ - ,,ა. ვ“, რომელთა ბაზებზეც გათვალისწინებულია ცალკეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული მოდულების (იხ. 2.2. 1 (8) პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა. მემორანდუმებს დანართის სახით თან ახლავს აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება სწავლების პროცესში. ვიზიტისას ექსპერტებმა დაათვალიერეს შპს ,,მარნეული აგროს“ ხეხილის ბაღი, ტექნიკა. პარტნიორის განმარტებით, კომპანია ფლობს 120 ჰა ფართობს, გააჩნიათ შესაბამისი პირობები და სრული მზაობა იმისათვის რომ ერთდროულად უზრუნველყონ 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება. რაც შეეხება ფ/კ ,,ა. ვ“-ს, რომლის ბაზებზე უნდა განხორციელდეს კენკროვანი კულტურების სწავლება, მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ის ფლობს კენკროვანი კულტურების ბაღს (20 ჰა) და აქვს სწავლებაში ჩართვის მზაობა, რაც დადასტურებულია მემორანდუმითა და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმებით, სადაც პირი აცხადებს, რომ აქვს ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის სწავლებაში ჩართვის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯთან თანამშრომლობს შპს ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“ და კოლეჯსა და ავტოპარკს შორის 2021 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირება პრაქტიკის ობიექტებზე.

კოლეჯს ,,მეხილეობის“ პროგრამისათვის აღჭურვილობა გათვლილი აქვს ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, ჯამში - 30 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულებამ განაცხადის დანართად წარმოადგინა სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ 2021 წლის 12 ნოემბრის №345 ბრძანებით დამტკიცებული,, 2021 წლის გაუმჯობესების გეგმა“, რომლის მიხედვით ,,მეხილეობის“ პროგრამის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 30 აპრილს. ვიზიტის მომენტისათვის შესყიდვების პროცედურის უმეტესი ნაწილი დასრულებული იყო და დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარების აქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ არის დასრულებული შესყიდვის პროცედურა შპს „მაი მობაილ+“ - თან და მიმწოდებელთან გაფორმებული 2021 წლის 05 ოქტომბრის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას მოსაწოდებელი დარჩა აღჭურვილობის ნაწილი (შვიდი დასახელება).

დისტანციურად განხორციელდა პროგრამის სასწავლო გარემოთა და შესყიდული ინვენტარის შერჩევითი პრინციპით დათვალიერება. ექსპერტები ადასტურებენ, რომ გამოყოფილ ფართებში სრულიად არის შესაძლებელი პროგრამის განხორციელება ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, ჯამში - 30 პროფესიულ სტუდენტზე.

ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმის დასახელებასა და იდენტიფიცირებული პრობლემის ფორმულირებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზანშეწონილია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ სხვა გეგმების შემუშავებისას. როდესაც სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებაში არ არის სრული შესაბამისობა, ამ შემთხვევაში იწერება „შესაბამისობის გეგმა“ და არა „გაუმჯობესების გეგმა“. ასევე, რეკომენდებულია, იდენტიფიცირებულ პრობლემაში დაფიქსირდეს ჯგუფში ავტორიზაციის რომელ სტანდარტთან/კომპონენტთან/კრიტერიუმთან არის შეუსაბამობა. ასევე, როცა შეუსაბამობა შესყიდვებთანაა დაკავშირებული, რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმას ყოველთვის დანართის სახით თან ახლდეს შესასყიდი აღჭურვილობის ნუსხა, რათა გეგმითვე იკვეთებოდეს რა მატერიალური რესურსი აკლია პროგრამას.

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გეგმის მიხედვით კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანა გათვალისწინებული აქვს 2022 წლის 30 აპრილამდე და შესყიდვებიც არ არის ვიზიტის პერიოდში დასრულებული, ექსპერტები იზიარებენ კოლეჯის შეფასებას და ის ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. მოდულური პროგრამით ,,მეხილეობა“ გათვალისწინებულია 20 (ოცი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 7 (შვიდი) ზოგადი მოდულების, 8 (რვა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების და 5 (ხუთი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია.

დისტანციური გასაუბრებისას ზოგადი და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობის მზაობა. მათ შორის, ზოგადი მოდულების მასწავლებლებს უკვე აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის გამოცდილება.

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები, რომლებიც ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის №3 დანართთან - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ. *გამონაკლისია მხოლოდ ერთი წინარე ხელშეკრულება (თ. ა), სადაც ხელშეკრულებაში მოდულების დასახელება მეტია ვიდრე ეს პროგრამაშია მითითებული. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული ორი დოკუმენტი.*

ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

3. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. დარგის სპეციალისტები მაღალკვალიფიციური კადრებია. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მათ შორის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ტრენინგებს ატარებს კოლეჯის ხარისხის მენეჯერი. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პროგრამის შემუშავების პარალელურად ჰქონდათ საკონსულტაციო სახის შეხვედრები სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე და როგორც კი მოიპოვებენ პროგრამის განხორციელების უფლებას დამატებით გეგმავენ ტრენინგების ჩატარებას.

დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამის ხელმძღვანელია პროფესიული განათლების მასწავლებელი თამარ ახალაძე, რომელიც არის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი. აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება პროგრამასთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. ის ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში, იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

5. კოლეჯის მარნეულის ლოკაციაზე არის სამკითხველო ოთახი, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, საგანმანათლებლო რესურსის პროფესიულ სტუდენტებზე მიწოდებას უზრუნველყოფს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული პირი - მარნეულის სასწავლო კორპუსის „სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი“. კოლეჯის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლით სარგებლობის უფლება აქვს კოლეჯის ყველა სტუდენტს, მასწავლებელს თუ პერსონალს.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა მათი ელექტრონული ვერსიის არსებობა. ***ამასთან, პროგრამაში სასწავლო რესურსის დიდ ნაწილს არ უწერია, რომ არის ელექტრონული რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა რესურსთან მიმართებაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ არის ელექტრონული რესურსი.***

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით შემუშავებულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც ითვალისწინებს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სსსმ პირთათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. აღნიშნულს კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების სპეციალისტის ასისტენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით. საჭიროების შემთხვევაში, ხდება სხვა მხარდამჭერი სპეციალისტების ჩართვაც. რეგულაცია ითვალისწინებს ისგ-ს შემუშავების წესსა და პროცედურას და საჭიროების შემთხვევაში რესურსების ადაპტირებას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ცვლილებას და სხვ. რეგულაცია ითვალისწინებს ისგ-ს შემუშავების პროცესში სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას.

შესაბამისად, თუკი ,,მეხილეობის" პროგრამაზე დადგება სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება კოლეჯს აქვს ამისათვის მზაობა.

7. კოლეჯი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და ის ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. კოლეჯს შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროგრამა რენტაბელურია ჯგუფში მინიმუმ 12 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,2021 წლის გაუმჯობესების გეგმის დამტკიცების შესახებ" სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი" დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №345 ბრძანება;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი" და შპს ,,მარნეული აგრო" - ს შორის გაფორმებული 2021 წლის 20 აპრილის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი" და ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძეს შორის გაფორმებული 2021 წლის 10 მარტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;
- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- შესყიდვის ხელშეკრულებები და მღება - ჩაბარების აქტები:
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის შემოწმების შედეგი;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და შპს ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკს“ შორის 2021 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი.

2.2. კომპონენტი მატერიალური რესურსის კრიტერიუმთან (2.2.1 (1) მეტ წილი შესაბამისობიდან გამომდინარე ფასდება როგორც - ,,მეტწილად შესაბამისი“.

შეფასება

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. რომლებიც ეფუძნება დემინგის ციკლს. რეგულაციის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიერ PDCA-ს მიხედვით ფასდება კოლეჯში მიმდინარე ძირითადი დამხმარე პროცესები. რეგულაციის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. პროგრამის შეფასების მიზნით, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ამოცანებად განსაზღვრულია: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმირების ხარისხის შეფასება; პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაფასებლად კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შემდეგი კითხვარები და ფორმები: კითხვარი მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით; კითხვარი სტუდენტებისათვის სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით; პროფესიული სტუდენტის კითხვარი პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მიზნით; კითხვარი მასწავლებლისათვის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის შესახებ; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი, დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორების მიერ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის დასრულებული სწავლის შედეგ/ებ/ის შეფასების კითხვარი, საკონტაქტო მეცადინეობაზე დასწრების ფორმა.

პროგრამების შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამების განვითარებისათვის. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად მიმდინარეობდა, მაგრამ წინა ვიზიტების დროს ექსპერტებმა კოლეჯს მისცეს რეკომენდაცია, რომ ხარისხის განვითარების მექანიზმები ერთ დოკუმენტად შეეკრათ, რაც გაუადვილებდა მათ მუშაობას და სწორედ ამიტომ სამუშაო ჯგუფმა 2021 წლის ბოლოს გადაამუშავა არსებული მექანიზმები, გაითვალისწინა წინა წლების გამოცდილებაც და დოკუმენტი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით. შესაბამისად, ის გამოყენებული იქნება ყველა პროგრამის, მათ შორის ,,მეხილეობის“ პროგრამის შეფასებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით გათვალისწინებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაოდენობრივი კვლევების ჩატარება, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია რაოდენობრივი კვლევები ჩაატაროს ელექტრონულად.

2. კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები ,რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანებით, ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებას, შეფასების საფუძველზე მოპოვებული მონაცემების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესებას ან გაუქმებასაც კი. კერძოდ, რეგულაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან სრულ შესაბამისობას ან შეიმუშავებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს: პროგრამის სრული გადამუშავებას და ცენტრის ინფორმირებას, პროგრამაში ისეთი სახის ცვლილებების განხორციელებას რაც დაკავშირებულია: სწავლების მეთოდების, სასწავლო რესურსების, თემატიკის, მატერიალური რესურსების გაუმჯობესებასთან. შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით, თუ იკვეთება პროფესიული სტუდენტების დაბალი მომართვიანობა, რაც პროგრამის რენტაბელობას აყენებს ეჭვქვეშ, დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვ.

კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით (ბოლო ცვლილება - №344; 12.11.2021) დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მეორე თავი (მუხლი 7) განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურას პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტერვიუს პროცესში ხარისხის მართვის მენეჯერმა გამოხატა მზაობა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შეფასებაც განხორციელდება კოლეჯის მიერ შემუშავებული ხარისხის მექანიზმების მეშვეობით და საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,სსიპ კოლეჯის ,,მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანება;
- ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 5 აპრილის № 82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №344 ბრძანება;
- სსიპ კოლეჯი მოდუსის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარე ანგარიში და „ ხარისხის მართვის მენეჯერის შუალედური ანგარიში“ ;
- „სსიპ კოლეჯი მოდუსის ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა 2021 სასწავლო წელი
- ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგი;

შეჯამება - 2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მეორე სტანდარტის მესამე კომპონენტის ორი კრიტერიუმის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით ექსპერტების მიერ მესამე კომპონენტი შეფასებულია, როგორც „შესაბამისი“.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე- 7 თავი (ბოლო ცვლილება- ბოლო ცვლილება - №344; 12.11.2021) არეგულირებს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირეების რაოდენობა და დაგეგმილია გადაბარების კვირა იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობა არ აღემატება 30 საათს.

პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პიარი ადგენს მეცადინეობათა ცხრილს. შესაბამისად, ,,მეხილეობის“ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით.

დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულაციით განსაზღვრული წესი დანერგილია კოლეჯში, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გათვალისწინებით კოლეჯში სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის დროს. კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული აქვს არა მხოლოდ ცალკეული სტუდენტისათვის, არამედ ცალკეული ჯგუფებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფარგლებში სწავლების შესაძლებლობა.

2019 წლიდან კოლეჯში შექმნილია და მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა კავშირი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გამოვლენაში. მათ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელი საკოორდინაციო საბჭოში. პანდემიის დროს კოლეჯი მოქნილად რეაგირებდა სტუდენტთა საჭიროებებზე და არც ერთი სტუდენტი არ დაუტოვებიათ სასწავლო პროცესს მიღმა. სტუდენტებს რომლებიც დისტანციურად ვერ ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში, შეეძლოთ კოლეჯში ინდივიდუალურად დაეკავებინათ ადგილი შესაბამის გარემოში და დასწრებოდნენ მეცადინეობებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შემუშავებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები და მასწავლებელთა რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროგრამის დარგის სპეციალისტები ახლად დამწყები მასწავლებლები არიან, მაგრამ მათთან ხარისხის მართვის მენეჯერს უკვე დაწყებული აქვს საკონსულტაციო მუშაობა და ასევე დაგეგმილია სისტემატიზებული ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხოლო, ზოგადი მოდულების მასწავლებლებს, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან სხვა პროგრამების ფარგლებში, სისტემატურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობას. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლების ინტერვიუირების გზით.

4. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,მეხილეობა“ ჰყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია: შპს ,,მარნეული აგრო“ და ფ/პ ,,ალექსანდრე ვაშაკიძე“. კოლეჯს მათთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორების ბაზაზე შემდეგი მოდულების: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა; თესლბრუნვა; მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა; საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება; მოსავლის აღება-შენახვა; ხეხილის ბაღის გაშენება; ხეხილის სხვლა-ფორმირება; ხეხილის დაცვა; ხეხილოვანი კულტურების ბაღის მოვლა; დახურული გრუნტის მოწყობა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში განხორციელების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღნიშნული მემორანდუმების 2.1 პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 14 იანვარს ორთავე პარტნიორთან გაფორმებულია შეთანხმებები. აღნიშნული შეთანხმებებით დაკონკრეტდა პარტნიორთა მიერ სწავლებაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა (30-30 პროფესიული სტუდენტი). ინტერვიუთი დადასტურებულია პარტნიორების მზაობა თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

6. პროგრამა ,,მეხილეობა“ განხორციელდება პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოში. სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2022 წლის 13 იანვრის №8 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამისათვის უსაფრთხოების ნორმები.

ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის საკითხი გათვალისწინებული იყოს პარტნიორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის 2.1 პუნქტის მიხედვით კონკრეტულ საკითხებზე ხელშეკრულება/შეთანხმება დამატებით გაფორმდება და აღნიშნული საკითხიც აისახება მასში.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ კოლეჯს გააზრებული აქვს სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში წარმართვის აუცილებლობა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და აქვთ მზაობა დანერგონ შემუშავებული მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 5 აპრილის № 82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №344 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეხილეობა“ სასწავლო გეგმა;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და შპს ,,მარნეული აგრო“ - ს შორის გაფორმებული 2021 წლის 20 აპრილის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;
- სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძეს შორის გაფორმებული 2021 წლის 10 მარტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;

- ,,პროფესიული სტუდენტური კავშირის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N90 ბრძანება;
- ,,სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2022 წლის 13 იანვრის №8 ბრძანება;
- სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან,. პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგი;
- პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი;

შეჯამება - 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

მეორე სტანდარტის მეოთხე კომპონენტის (2.4.1) ექვსი კრიტერიუმის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით ექსპერტების მიერ 2.4.1 კომპონენტი შეფასებულია, როგორც ,,შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF EraserFree

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და პროცედურა გაწერილია სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში (თავი VIII). რეგულაცია ფარავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: შეფასების სახეები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ძირითად და განმეორებითი შეფასების თარიღების, შეფასების ფორმების, მიღებული შეფასების თაობაზე, ინფორმირების საკომუნიკაციო გზები, პროფესიული სტუდენტის მიერ განმეორებითი შეფასების ჩატარების შესაძლებლობის ჯერადობა და განმეორებითი შეფასების ჩატარების ვადები (მათ შორის, იმ მოდულებისათვის, რომელთაც აქვს დაშვების წინაპირობა), შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა, განმეორებითი შეფასებისას შეფასების ინსტრუმენტთა მოდიფიკაციის საკითხი, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვის საკითხი, პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის წესი, კვალიფიკაციის მინიჭება. შეფასების წესი მოიცავს საკითხებს ინტეგრირებული და დუალური პროგრამებისთვისაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ხარისხის ამაღლების მიზნით, 2021 წელს კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. მათ შორის, განახლდა შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების უწყისების ფორმები, შეფასებისთვის გამოიყენება ვალიდატორის მიერ დადასტურებული შეფასების ინსტრუმენტი.

ზემოაღნიშნული რეგულაციების ანალიზით ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. სსიპ კოლეჯში ,,მოდუსი“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

2021 წელს კოლეჯმა განაახლა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანებით სხვა საკითხებთან ერთად დარეგულირებულია ვერიფიკაციის საკითხები. დოკუმენტი შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი და ის აცხადებს მზაობას დანერგოს კოლეჯში განახლებული წესები, მათ შორის ვერიფიკაციის წესი.

3. კოლეჯში შემუშავებულია/დამტკიცებულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვის წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მუხლი 34.) შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წელი შეფასების განხორციელებიდან, ხოლო შეფასების უწყისები იტვირთება e-flow-ს ელექტრონულ სისტემაში და ინახება უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარი (განკუთვნილი პროფესიული სტუდენტებისათვის) მოიცავს შეკითხვებს, რომელთა მეშვეობით ხარისხის მართვის მენეჯერს შეეძლება აღნიშნული კრიტერიუმის შეფასება.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის და ამ მიდგომას ისინი დანერგავენ ,,მეხილეობის“ პროგრამასთან მიმართებაშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,სსიპ კოლეჯის ,,მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 5 აპრილის № 82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის №344 ბრძანება;
- სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და შპს ,,მარნეული აგრო“ - ს შორის გაფორმებული 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;

დანართი 3. სსიპ კოლეჯს ,,მოდუსი“ და ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძეს შორის გაფორმებული 2022 წლის 14 იანვრის შეთანხმება;

20. 01. 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: